კიბერუსაფრთხოება გენდერულ ჭრილში: კიბერდანაშაულის დიფერენციული ზეგავლენის ანალიზი

ანი მოსიაშვილი

რედაქტორი: ელენე ცაცუა

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია კიბერდანაშაულისა და კიბერუსაფრთხოების ინციდენტების გენდერული ზემოქმედება, ასევე, აღწერილია თუ როგორ განსხვავდება ცალკეული ინდივიდების გამოცდილება და მათი აღქმა ამ დანაშაულების მიმართ. ნაშრომი მიზნად ისახავს კიბერუსაფრთხოების სფეროში გენდერულად სპეციფიკური რისკების შერბილებისთვის შემუშავებული სტრატეგიების მიმოხილვას და ინკლუზიურობისა და გენდერული მდგრადობის ხელშეწყობას.

შესავალი

ტექნოლოგიის სწრაფმა განვითარებამ მრავალი სარგებელი მოიტანა, მაგრამ ასევე გაზარდა კიბერდანაშაულის რისკები და შემთხვევები. კიბერდანაშაული სხვადასხვა გენდერული იდენტობის მქონე პირზე სხვადასხვაგვარად მოქმედებს და ხშირ შემთხვევაში აუარესებს არსებულ უთანასწორობებს. დოკუმენტზე მუშაობის პერიოდში ჩატარებულმა ფსიქოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური განზომილებების ანალიზმა შესაძლებელი გახადა იმ განსხვავებული შედეგების გამოვლენა, რასაც კიბერ საფრთხეები კაცებისთვის, ქალებისთვის და არაბინარული პირებისთვის იწვევს.

კიბერდანაშაულის გენდერული ზეგავლენა:

ფსიქოლოგიური შედეგები

კიბერდანაშაული მსხვერპლზე ღრმა ფსიქოლოგიურ ზეგავლენას ახდენს, რაც ქალების შემთხვევაში ხშირად უფრო მძიმე შედეგებში ვლინდება. **კიბერადევნება** (Cyberstalking) არის ადევნება ონლაინ სივრცეში, როდესაც კიბერკრიმინალი იყენებს ელფოსტას, პირდაპირ შეტყობინებებს ან სხვა ელექტრონულ საშუალებებს პიროვნების შევიწროების, დაშინების ან ფიზიკური ზიანის მიყენების მუქარით. ის სხვადასხვა ფორმას იღებს, მათ შორის, გამოიხატება პიროვნების ონლაინ აქტივობის ან ფიზიკური მდებარეობის თვალყურის დევნებაში და სხვა. **კიბერბულინგი** კიბერდანაშაულის გავრცელებული ფორმაა, რომლის სამიზნეც უმეტეს წილად ქალია. Pew Research Center-ის 2017 წლის ანგარიშის მიხედვით, 18-დან 29 წლამდე ქალების 21% ონლაინ სექსუალურ შევიწროებას განიცდიდა, მაშინ როდესაც იგივე ასაკის კაცებში ეს მაჩვენებელი მხოლოდ 9% იყო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ონლაინ შევიწროების გამო ქალები უფრო მეტად განიცდიან შფოთვას, დეპრესიასა და სხვა ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებს, ვიდრე კაცები. Data & Society Research Institute-ის კვლევის თანახმად, ონლაინ შევიწროების მსხვერპლი ქალების 53% ღელავდა თავის უსაფრთხოებაზე, მაშინ როდესაც კაცებში ეს მაჩვენებელი 35% იყო. ამ შიშმა შეიძლება გამოიწვიოს გრძელვადიანი ფსიქოლოგიური სტრესი და უარყოფითად იმოქმედოს ქალების ონლაინ სივრცეში აქტივობაზე.

კანადელი მოზარდი ამანდა ტოდი კიბერბულინგის და ონლაინ სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლი გახდა. უცნობი პირი გამუდმებით ავიწროებდა ამანდას, მისგან მაკომპრომეტირებელი ფოტოს მიღების შემდეგ, რამაც მასში ძლიერი დეპრესია და შფოთვა გამოიწვია. საბოლოოდ, სტრესის ფონზე, 2012 წელს ამანდა ტოდმა სიცოცხლე ტრაგიკული თვითმკვლელობით დაასრულა.

ფემინისტი და მედია კრიტიკოსის ანიტა სარქეზიანი ინტენსიურ ონლაინ შევიწროებას განიცდიდა მას შემდეგ, რაც ვიდეო თამაშებში სექსისტური ტროპების გამოკვლევის შესახებ ვიდეოსერიისთვის ფინანსების მოსაზიდად Kickstarter კამპანია დაიწყო. სარქეზიანს სიცოცხლის მოსპობითა და გაუპატიურებით დაემუქრნენ, რამაც აიძულა საკუთარი საცხოვრებელი დაეტოვებინა. ამ შევიწროების ფსიქოლოგიური ზეგავლენა ძალიან მძიმე იყო და მსხვერპლში უზარმაზარი სტრესი და შფოთვა გამოიწვია.

ბრიტანელმა ფემინისტმა და აქტივისტმა კაროლაინ კრიადო პერესმა ბრიტანულ ბანკნოტებზე ქალის გამოსახვის კამპანიის წარმატებით ჩატარების შემდეგ ტვიტერზე გაუპატიურების და მკვლელობის მუქარების შემცველი შეურაცხმყოფელი წერილები მიიღო. სამწუხაროდ, მძიმე ემოციურ სტრესსა და შფოთვას ვერც პერესი გადაურჩა.

სოციალური შედეგები

კიბერდანაშაულის სოციალური გავლენები დიდად არის დამოკიდებული სქესზე და გენდერულ იდენტობაზე. კიბერდანაშაულის შედეგად ქალები ხშირად ხდებიან რეპუტაციის შელახვისა და სოციალურ იზოლაციის მსხვერპლნი. მაგალითად, ინტიმური სურათების უნებართვოდ გავრცელება - ე.წ. „შურისძიების პორნო" (revenge porn), უმეტესად ქალებისადმია მიმართული. Cyber Civil Rights Initiative-ის კვლევის მიხედვით, შურისძიების პორნოს მსხვერპლთა 90% ქალები არიან.

კიბერდანაშაულის შედეგად ქალების მიმართ გაღრმავებულმა სოციალურმა სტიგმამ შეიძლება მსხვერპლის საზოგადოებისგან იზოლირება გამოიწვიოს, ხოლო ონლაინ აქტივობებისგან ჩამოშორება მათ ციფრულ სფეროში თანადგომას და პროფესიულ და სოციალურ შესაძლებლობებს შეუზღუდავს. ამან კი შეიძლება ხელი შეუშალოს მათ წვდომას ინფორმაციაზე, მხარდაჭერის ქსელებზე და სამუშაო შესაძლებლობებზე, რაც უფრო მეტად აძლიერებს გენდერულ უთანასწორობას.

18 წლის ოჰაიოელი ჯესიკა ლოგანის ყოფილმა პარტნიორმა, შურისძიების მიზნით, მისი პირადი და ინტიმური ცხოვრების ამსახველი ფოტოები გაავრცელა. შედეგად, იესიკა თანატოლების მხრიდან მუდმივ შევიწროებას და სოციალურ იზოლირებას განიცდიდა, რამაც იგი საბოლოოდ საკუთარი სიცოცხლის ხელყოფამდე მიიყვანა.

ბრიტანელი ბიზნესმენი ქალი ჯინა მილერი გაერთიანებულ სამეფოს სასამართლოში ბრექსიტის (ბრიტანეთის მიერ ევროკავშირის დატოვების) საკითხზე ედავებოდა. სასამართლოს მსვლელობისას მილერი გამუდმებით განიცდიდა ონლაინ შევიწროებას და მუქარას, რომელიც შეიცავდა რასისტულ და სექსისტურ აქცენტებს. მასზე განხორციელებულმა ინტენსიურმა ზეწოლამ, მისი პიროვნებისა თუ მოტივების შეურაცხყოფამ ჯინა მილერის სოციალური იზოლაცია და რეპუტაციის შელახვა გამოიწვია.

პაკისტანელი განათლების აქტივისტი მალალა იუსაფზაი, რომელიც გოგოების განათლების უფლებისთვის იბრძოდა, თალიბანის სამიზნე გახდა და მძიმე ონლაინ შევიწროებასაც განიცდიდა. მიუხედავად იმისა, რომ მალალა გადაურჩა მკვლელობის მცდელობას, მის მიმართ გამუდმებული ონლაინ მუქარა და შევიწროება კვლავაც გრძელდება, რაც უარყოფითად აისახება მის სოციალურ ინტერაქციასა და საჯარო ჩართულობაზე.

ეკონომიკური შედეგები

კიბერდანაშაულის ეკონომიკურ ზეგავლენასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ქალები უფრო მეტად ხდებიან ფინანსურ თაღლითობისა და პირადი ინფორმაციის გამოძალვის სამიზნე და მსხვერპლი. Federal Trade Commission-ის (FTC) ანგარიშის მიხედვით, ქალები 2020 წელს 26%-ით უფრო მეტად აცხადებდნენ პირადი ინფორმაციის ქურდობის შესახებ, ვიდრე კაცები.

კიბერდანაშაულის ეკონომიკურ ზეგავლენა შეიძლება მძიმედ აისახოს განსაკუთრებით იმ ქალებზე, ვისაც შეზღუდული ფინანსური რესურსები აქვთ. პირადი ინფორმაციის ქურდობით გამოწვეული ფინანსური დანაკარგები, მათ შორის, იურიდიული დანახარჯები და კრედიტის აღდგენის სერვისები, შეიძლება მნიშვნელოვნად დიდი იყოს. გარდა ამისა, ქალები უფრო ხშირად მუშაობენ დაბალშემოსავლიან სამუშაოებზე და ნაკლები დანაზოგი აქვთ, რაც კიბერდანაშაულის შემთხვევაში კიდევ უფრო ართულებს მათ ფინანსურ მდგომარეობას.

ნიუ-იორკელი მარტოხელა დედა მარია ე.წ. „ფიშინგის" მსხვერპლი გახდა. ფინანსური ზარალის აღსადგენად, ქალს ერთდროულად რამდენიმე ადგილას მოუწია სამუშაოს დაწყება. ზედმეტი მუშაობისგან გადაღლასთან ერთად, მარიას კიბერდანაშაულისგან მიღებული სტრესი და შფოთვაც დაემატა.

სამუშაო ადგილის მონაცემთა ბაზაში უკანონოდ შეღწევამ და პირადი ინფორმაციის მოპარვამ კალიფორნიელ ახალგაზრდა პროფესიონალს ჯადას ათასობით დოლარი, ხოლო შემდგომ, თავისი ფინანსური მდგომარეობის აღსადგენად, უამრავი დრო დააკარგვინა. ამ დანაშაულმა მისი სახლის ყიდვის გეგმაც დააყოვნა და მნიშვნელოვანი ფინანსური თუ ემოციური ზარალიც მიაყენა.

ტეხასელი ალისის მცირე ბიზნესს განადგურების საფრთხე დაემუქრა, როდესაც ჰაკერებმა მისი სამუშაო ფაილები ჩაიგდეს ხელში და სანაცვლოდ დიდძალი გამოსასყიდი მოითხოვეს. ალისს მნიშვნელოვანი ფინანსური ზიანი მიადგა ბიზნესის ოპერაციების შეფერხების და სისტემების აღსადგენად საჭირო ხარჯების გამო.

გენდერული უთანასწორობის დაძლევა კიბერუსაფრთხოებაში

კიბერდანაშაულის გენდერული ზემოქმედების შესამცირებლად, აუცილებელია გენდერული თანასწორობისა და ინკლუზიურობის ხელშეწყობა კიბერუსაფრთხოების სფეროში, მათ შორის, ქალთა წარმომადგენლობის გაზრდა ინტერნეტ ტექნოლოგიებთან დაკავშირებულ პროფესიებში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება იმ კონკრეტული გამოწვევების შესახებ, რომლებსაც ქალები აწყდებიან ონლაინ შევიწროების შემთხვევაში. სახელმწიფოს აქტიური ჩართულობით უნდა შემუშავდეს კიბერუსაფრთხოების პრევენციისა და ზიანის შემცირების ეფექტური მექანიზმები, ასევე, მიზნობრივი პროგრამები კიბერდანაშაულის მსხვერპლ ქალთა მხარდასაჭერად.

ქალების ჩართულობია წახალისება კიბერუსაფრთხოების სფეროში

კიბერუსაფრთხოების სფეროში ქალების ჩართულობას დიდი მნიშვნელობა აქვს გენდერული უთანასწორობების დაძლევისთვის. ქალები ამჟამად კიბერუსაფრთხოების სფეროს სამუშაო ძალის მხოლოდ 24%-ს შეადგენენ, 2020 წლის (ISC2) კიბერუსაფრთხოების სამუშაო ძალის კვლევის მიხედვით. უფრო მეტი ქალი სპეციალისტის მოზიდვა კიბერუსაფრთხოების დარგებში მრავალფეროვან პერსპექტივებს და პრობლემის გადაჭრის გზებს წარმოაჩენს.

ცნობიერების ამაღლება

მნიშვნელოვანია, რომ კიბერდანაშაულის გენდერული ზეგავლენებისა და რისკების შესახებ ცნობიერების ამაღლებაზე მუშაობა ქალთა ჩართულობით წარიმართოს. ამისათვის უნდა იწარმოოს საზოგადოებრივი კამპანიები, სადაც კარგად იქნება წარმოჩენილი ქალთა განცდები და მიყენებული ტანჯვა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა ცოდნის დონის ამაღლებაზე კიბერდანაშაულის გენდერულ ხასიათთან დაკავშირებით, რაც შესაძლებელს გახდის მსხვერპლი ქალების მხარდაჭერისა და დაცვის ხარისხის გაუმჯობესებას.

მიზნობრივი ჩარევები

გენდერული კიბერდანაშაულის მსხვერპლთათვის მიზნობრივი ჩარევების განხორციელება მნიშვნელოვანია. ეს შეიძლება მოიცავდეს სპეციალიზებული მხარდაჭერის სერვისებს, როგორიცაა კონსულტაცია და იურიდიული დახმარების უზრუნველყოფა, რათა ქალებმა კიბერდანაშაულის ინციდენტებისგან სრული რეაბილიტაცია და ძალების აღდგენა შეძლონ. უფრო მეტიც, ონლაინ შევიწროებისა და შურისძიების მიზნით ინტიმური კადრების გავრცელების წინააღმდეგ უფრო მკაცრი იურიდიული დაცვის განხორციელებას შეუძლია შეაჩეროს პოტენციური დამნაშავე, ხოლო მსხვერპლთათვის სამართლიანი გარემო შექმნას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Pew Research Center: Online Harassment 2017 | Pew Research Center
2. Data & Society Research Institute: https://datasociety.net/pubs/ia/DataAndSociety_Online_Harassment_2016.pdf
3. Amanda Todd cyberbullying (The Guardian example): https://www.theguardian.com/commentisfree/2012/oct/26/amanda-todd-suicide-social-media-sexualisation
4. Anita Sarkeesian online harassment Kickstarter (BBC example): https://www.bbc.com/news/technology-29616197
5. Caroline Criado Perez online threats (BBC example): https://www.bbc.com/news/uk-23559605
6. Gina Miller online abuse Brexit (The Guardian example): https://www.theguardian.com/politics/2018/aug/19/gina-miller-rise-life-lessons-in-speaking-out-brexit-hatred-interview
7. Malala Yousafzai online threats (The Guardian example): https://www.theguardian.com/world/2013/jul/17/taliban-letter-malala-yousafzai
8. Federal Trade Commission (FTC): https://www.ftc.gov/news-events/press-releases/2021/02/ftc-releases-annual-summary-identity-theft-reports
9. Women in Cyber-Security (WiCyS): https://www.wicys.org/
10. #MeToo movement: https://metoomvmt.org/
11. #NotYourPorn movement: https://notyourporn.com/
12. Cyber Civil Rights Initiative: https://www.cybercivilrights.org/
13. Safer Internet Program: https://www.saferinternet.org/
14. IIAfrica: https://iiafrica.org/A-New-Era-for-Sustainability-iiAfrica's-reflections-from-International-Day-of-Women-and-Girls-In-Science